

ცვლილებები ძალაშია 03/07/2018–დან

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. საბანკო მომსახურების პირობების მუხლი 29² შეიცავალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 29². საბაზისო საბანკო პროდუქტები - „აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ („აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“).
2. საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობა („აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“) გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტებ/მომსახურებაზე ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.
3. საბაზისო საბანკო პროდუქტებში („აქტიური ანგარიშით მომსახურება“ / „უნივერსალური აქტიური ანგარიში“) შემავალი საბანკო პროდუქტებია:
 - 3.1. ერთი მიმდინარე ანგარიში ლარში, აშშ დოლარში, ევროში;
 - 3.2. შემნახველი ანაბარი Flex Save (მიმდინარე ანგარიშის შესაბამის ვალუტაში);
 - 3.3. ინტერნეტ ბანკინგის სრული პაკეტი;
 - 3.4. პლასტიკური ბარათი (1 ცალი Visa Flex Card);
 - 3.5. ვიზა კლასიკის ტიპის უკონტაქტო ბარათი Pay Sticker (1 ცალი), მხოლოდ „უნივერსალური აქტიური ანგარიში“ -თვის;
 - 3.6. SMS მომსახურება (1 აბონენტზე);
 - 3.7. ავტომატური გადარიცხვა;
 - 3.8. კომუნალური დავალიანების ავტომატური გადარიცხვა;
 - 3.9. სატელეფონო პინ-კოდი;
4. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში კლიენტს ეხსნება მხოლოდ ერთი მიმდინარე ანგარიში ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში (მხოლოდ აშშ დოლარი და/ან ევრო) თითო დამატებითი ანგარიშ(ებ)ის გახსნა ხორციელდება კლიენტის განაცხადების საფუძველზე.
5. კლიენტის ანგარიშზე ლარის, აშშ დოლარის და ევროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს თანხის კონვერტირებას და კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვას შემდეგი პროცედურის დაცვით: გემოაღნიშნული თანხა პირველ რიგში დაკონვერტირდება და ჩარიცხება კლიენტის აშშ დოლარის ანგარიშზე. თუ კლიენტს არ აქვს გახსნილი აშშ დოლარის ანგარიში ბანკში, თანხა დაკონვერტირდება ევროში და ჩარიცხება კლიენტის ევროს ანგარიშზე, ხოლო თუ კლიენტს არ აქვს არც ერთი გემოაღნიშნული სავალუტო ანგარიში, ხსენებული თანხა დაკონვერტირდება ლარში და ჩარიცხება კლიენტის - ლარის ანგარიშზე.

6. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს „პროკრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით.
7. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, ფიქსირებული საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.
8. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმა, ავტომატურად იწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას/ანგარიშების დახურვას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.”